მცირე სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, ა. გრიბოედოვის ქ. #22-ში მდებარე შენობაზე განსახორციელებელ სამუშაოებზე

ქ. თბილისი
2026

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, ქ. თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულ და მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც არაერთგზის გამხდარა მკვლევართა შესწავლის ობიექტი. აღნიშნულ ნაგებობაზე 2007 წელს განხორციელდა საფუძვლიანი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (შ.პ.ს. "აკრიანი"), ხელოვნებათმცოდნე მ. სურამელაშვილისა და ც. ჩაჩხუნაშვილის მიერ, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს შენობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, მის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებასა სტილისტურ ანალიზს (იხ. აღნიშნული კვლევა დანართი #1). ცხადია წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული ფაქტებს საფუძვლიანად აღარ შევისწავლით, ჩვენი მიზანია შენობის დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და კონკრეტული რეკომენდაციების გაწერა I ეტაპით გათვალისწინებულ გადაუდებელ სამუშაოებზე, რომელიც ამ ეტაპზე ფასადების რესტავრაციას გულისხმობს. აქვე დავსძენთ, რომ ზემოთ დასახელებული კვლევა იმდენად საფუძვლიანია, რომ ჩვენს ნაშრომში უცვლელად გთავაზობთ გარკვეულ თავებს. ამავდროულად 2015 წელს მოზადდა შენობის რესტავრაციის პრპოექტი, რომელიც საფუძვლად დაედო მის რესტავრაციას. აღნიშნული პერიოდის კვლევითი სამუშაოები შესრულებულია ხელოვნებათმცოდნეების ი. ელიზბარაშვილის, თ. ღვინერიას, ქ. ჯიშიაშვილის, თ. თევდორაძის მიერ. წინამდებარე კვლევა, სწორედ აღნიშნულ მასალას ასახავს, რომელსაც დამატებით დართული აქვს საპროექტო სამუშაოები.

შენობის ისტორია დოკუმენტებისა და რუკების მიხედვით

საკვლევი შენობა მდებარეობს ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე, ისტორიული გარეთუბნის ფარგლებში, შუა საუკუნეების თბილისის ზღუდის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.
გარეთუბნის საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მტრის შემოსევის შემდეგ მოსახლეობა ქალაქის ზღუდის შიგნით იკეტებოდა. მშვიდობიან პერიოდებში განაშენიანება რუსთაველის გამზირის მიმართულებით ვრცელდებოდა. ბატონიშვილ ვახუშტის თბილისის 1735 წლის გეგმაზე გარეთუბნის გარე ზღვარი ქვაშვეთის ეკლესიამდე აღწევდა.
იმ ტერიტორიის ათვისება, სადაც საკვლევი შენობა დგას, ისტორიული საბუთების მიხედვით XVIII ს-ის დასაწყისიდან ხდება. თბილისელი მოქალაქეები ამ ადგილებში ჩეხავდნენ ტყეებს, გამოყავდათ არხებით წყალი, აშენებდნენ ბაღებს. არის ცნობები ასევე, ეკლესიების მშენებლობის შესახებაც.
ისტორიკოს მამისა ბერძნიშვილის მიერ შესწავლილი XVIII ს-ის დასაწყისის საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი თბილისელი მოქალაქე _ ზირკინაანთ მიღდისი სააკა დღევანდელი სამხატვრო აკადემიის შენობის მიდამოებში აშენებს ეკლესიასა და ბაღს: ,,ქაშვეთის იქიდამ თავიანთვის სასაფლაო ეკლესია რომ აუშენებია. გარშემო ბაღები ადგილებით და წყლით... დიდის ხარჯით შორე კლდიდან ქვიტკირის მილებით წყალი ჩამოეტანა ეკლესიაში და ბაღებიცა და აუზებიც გაუკეთებია".

როგორც მ. ბერძნიშვილი აღნიშნავს ,,ზირკინაანთ ეკლესია'' და ბაღები გრიბოედოვის (ყოფილი კომენდანტის) ქუჩაზე მდებარეობდა. მარი ბროსეს ამ ეკლესიის შენობაზე წაუკითხავს წელი _ 1713, რაც აგების თარიღს უნდა მიუთითებდეს. საბუთებიდან ჩანს, რომ ამ ადგილებში ზირკინაანთ სააკა არ ყოფილა ერთადერთი, აქ ბაღები და აუზი ჰქონია ლოინანთ სიმოვანასაც.

წმინდა გიორგის, იგივე ზირკინაანთ ეკლესიას ახსენებს 1837 წლის ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქვს გამოქვეყნებული 1923 წელს. ,,...ვერისაკენ მიმავალი გზის დაწყებასავე, მარცხნივ, გზას ზემოთ, პირდაპირ კომაროვსკის სახლების ადგილსა თანა არს ეკლესია უგუმბათო სახელსა ზედა წმინდისა გიორგისასა, ზირკინაანთ საყდრად წოდებული''.

XVIII ს-ის შუა წლებში ოსმალთა შემოსევის შედეგად გარეთუბანი ძლიერ დაზარალდა. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ოსმალებმა გარეთუბნის ბევრი სახლი მიწასთან გაასწორეს. უფრო მეტად გავერანდა გარეთუბნის შედარებით მოშორებული ადგილები, როგორსაც წარმოადგენდა აღნიშნული ტერიტორია.

ამ ადგილების აღორძინება XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი, თუმცა ეს დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ჩვენთვის საინტერესო ზირკინაანთ ეკლესია და მის ირგვლივ მდებარე ბაღები 1792 წლიდან ხელახლა მოშენებულა. მალევე, 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ეს ადგილები კვლავ ,,გახარაბდა''.


XIX საუკუნის დასაწყისში გარეთუბანში უკვე არსებობდა მომავალი განაშენიანების ორიენტირები: კალოუბნის სამების, ქვაშვეთის და ლურჯი მონასტრის ეკლესიები.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად, ქალაქის ზღუდის გარეთ არსებული ბაღები სამეფო ოჯახისა და თავადაზნაურთა კუთვნილებას წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისიდან, რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მათი მამულების ნაწილი საკმაოდ იაფად შეიძინა ამ დროისათვის თბილისში მომრავლებულმა არაქართველმა მოსახლეობამ.

თბილისის 1800 წლის გეგმის მიხედვით იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ა. გრიბოედოვის ქუჩა მდებარეობს, ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული, XVIII საუკუნის საბუთებში აღნიშნული ბაღები და ეკლესია არ ჩანს. შესაძლოა, ეს ვითარება 1795 წლის დარბევამ და ლეკიანობამ გამოიწვია.

ბანოვის მიერ შედგენილ თბილისის 1809 წლის გეგმაზე გარეთუბანში უკვე იკითხება რეგულარული ქუჩების ქსელის ჩანასახი. დღევანდელი რუსთაველის გამზირი და მის ახლოს მდებარე მონაკვეთი რეგულარულ კვარტლებადაა დაყოფილი. დღევანდელი ა. გრიბოედოვის ქუჩაზე, კვლევის ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანება ჯერ კიდევ არ ჩანს.

1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსთაველის პროსპექტი - ქალაქის ისტორიული გზა, ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა.



საუკუნის პირველ ათეულ წლებშივე გარეთუბანი გახდა არისტოკრატიის საცხოვრებელი უბანი. ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა ალღო აუღო ახალ დროებას და მათაც იწყეს სახლების მშენებლობა საკუთარ მამულებში.

1844 წლის რუკაზე საპროექტო ტერიტორიაზე დავიდოვის (ახლანდელი ბესიკის) ქუჩასა, მის გადამკვეთ კომენდანტის (ახლანდელი გრიბოედოვის) და სასამართლოს (ახლანდელი ზუბალაშვილის) ქუჩებზე უკვე დგას ნაგებობები.

ა. გრიბოედოვის ქუჩა ჩამოყალიბდა XIX ს-ის I ნახევარში, 1843 წელს მას კომენდანტის ქუჩა ეწოდა. აქ იდგა ქალაქის კომენდანტის სახლი და თითქმის დაუსახლებელი ქუჩის სახელწოდებაც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა. ა. გრიბოედოვის სახელი ქუჩას 1879 წლიდან დაერქვა და დღემდე შემორჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ქუჩა ზოგან არშაკუნის სახელწოდებითაც არის აღნიშნული. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ XIX საუკუნის შუა წლებში აქ ჩნდება არქიტექტორ გრიგოლ ივანოვის მიერ აგებული სასახლე თავისი ეკლესიით, რომლის მფლობელად არშაკუნების საგვარეულოს წარმომადგენელი გვევლინება.




თბილისის 1844 წლის გეგმა

ჩვენთვის უცნობია ჰქონდა თუ არა კავშირი ჩვენი საკვლევი შენობის თავდაპირველ მფლობელს ირანის პართული წარმოშობის არშაკიდთა სამეფო დინასტიიდან მომდინარე სომეხ არშაკუნიანებთან (არშაკუნები), რომლებიც სომხეთის სამეფო ტახტს განაგებდნენ V საუკუნის დასაწყისამდე. თუმცა, დანამდვილებით ვიცით, რომ თბილისელი არშაკუნი, საკვლევი სახლის მფლობელი, თბილისის საპატიო მოქალაქე იყო. ასე მოიხსენიება იგი 1856 და 1857 წელს გრიგოლ ივანოვის მიერ შედგენილ პროექტების მინაწერებში.

XIX საუკუნის შუა წლებში თბილისის საპატიო მოქალაქეობა ქონებრივი ცენზით, ან წარმომავლობით ენიჭებოდათ. გარდა გრიბოედოვის ქუჩაზე არსებული სასახლისა არშაკუნები სხვა სახლებსაც ფლობდნენ. 1870 წლის ,,კავკაზსკი კალენდარის,, მიხედვით ველიამინოვის (ახლანდელი შ. დადიანის) ქუჩაზე არშაკუნებს ჰქონდათ სახლი, სადაც იმ დროისათვის კერძო სასწავლებელი იყო გამართული.

ჩვენს საკვლევ შენობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული 1861 წელს შესრულებული გრაფიკული ჩანახატი, სადაც

მთაწმინდის ფონზე გაშლილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანება პანორამულადაა წარმოდგენილი. ეს გრაფიკული ჩანახატი ეკუთვნის ბარტოლდს.



ბარტოლდი, ფრაგმრნტი 1861 წელს შესრულებული თბილისის პანორამული ჩანახატიდან

მაია მანიამ, რომელმაც შეისწავლა ბარტოლდის ჩანახატი, მარჯვენა კიდესთან გამოსახული გუმბათიანი ნაგებობის იდენტიფიკაცია მოახდინა არშაკუნების სასახლის კარის ეკლესიასთან, რომელიც მისივე დაკვირვებით დღეს აქ მდგარ ა. გრიბოედოვის ქ. #20 შენობის (პროექტის ავტ. მ. კალაშნიკოვი) ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო.
მ. მანია განიხილავს აგრეთვე საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ დიმიტრი ერმაკოვის, ან ალექსანდრე როინაშვილის XIX საუკუნის 70-იანი წლების თბილისის პანორამულ ფოტოს, სადაც ჩანს არშაკუნისეული სასახლის ნაწილი, საკმაოდ მასშტაბური ეკლესიის გუმბათი და სამრეკლო.



ფრაგმენტი თბილისის XIX ს-ის 70-იანი წლების ფოტოდან

სტატიის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ 1884 წელს ი.ფ. კლემენტიევის შედგენილ თბილისის რუკაზე, რომელიც შესწორებული და შევსებულია 1898 წელს, ექსპლიკაციაში მითითებულია არშაკუნის ეკლესია.

არშაკუნის წმ. გიორგის ეკლესია არაერთგზისაა აღნიშნული სხვადასხვა გამოცემებსა და რუკებზე. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი სასახლის ეკლესიად მოიხსენიება.

1869-86 წლებში არშაკუნის სასახლეში განთავსდა თბილისის ,,კრუჟოკი'' (Тифлисский кружок). ეს იყო გასართობი კლუბი, რომელსაც ჰქონდა კავკასიის მთავარმართებლის მიერ დამტკიცებული წესდება.

კლუბში გაწევრიანებული იყვნენ სახელმწიფო სამსახურში მყოფი, გადამდგარი პირები და მათი ოჯახის წევრები. კლუბის წევრებს საშუალება ეძლეოდათ გაცნობოდნენ ლიტერატურას და პრესას; იმართებოდა მეჯლისები, საოჯახო საღამოები, ცეკვები, სასცენო წარმოდგენები. ფუნქციის შესაბამისად შენობაში გამოყოფილი იყო ბიბლიოთეკის ოთახი, სასტუმრო, სასადილო, საბილიარდო, საცეკვაო და სასცენო წარმოდგენების დარბაზი. როგორც ირკვევა, თბილისის ,,კრუჟოკი'' ამ შენობაში წარმატებით ფუნქციონირებდა წლების მანძილზე.



თბილისის ,,კრუჟოკი'', ,,სპარსული სტილის'' სასტუმრო ოთახი

1880-იან წლებში მას გარკვეული პრობლემები შეექმნა. ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ ეს სირთულეები დაკავშირებული იყო შენობის მდგომარეობასთანაც, რომელიც ამ დროს დანგრევის პირას ყოფილა მისული. ,,...не будем говоритъ уже о нынешных, печальных признаках, нисколько не напоминающих юность нашего ,,Кружка,, - грозящее разрушением здание, расположенное в захолустыи, к которому не видать даже сносного тротуара"


თბილისის ,,კრუჟოკი'', რომელიც განთავსებული იყო იმდროინდელი თბილისის გარეუბანში, 1886 წელს გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე, თავად მუხრანელის საკუთარ, ორსართულიან სახლში გადავიდა. საინტერესოა, რომ ეს სახლიც აგებული იყო არქიტექტორ გრიგოლ ივანოვის პროექტის მიხედვით 1850-იან წლებში (შემდგომში ის შეიცვალა არქიტექტორ დ. ჩისლიევის 1916 წელს აშენებული შენობით).

საყურადღებოა, რომ 1886 წლისთვის არშაკუნები აღარ ჩანან შენობის მფლობელებად , ხოლო XIX ს-ის დასასრულისთვის შენობის ერთი ნაწილის მფლობელად ნინო ქობულაშვილი გვევლინება, რომელმაც არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილს შეუკვეთა


მისი რეკონსტრუქცია. საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის ნაგებობა უკვე დაზიანებული იყო.
XX საუკუნის დასაწყისში არშაკუნისეულ ძველ სახლში გაიხსნა სამხატვრო სკოლა, რომლის ბაზაზე 1922 წელს დაფუძნდა თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელიც ერთადერთი იყო კავკასიაში. თავდაპირველად სამხატვრო აკადემიისთვის კლასიკური გიმნაზიის შენობა განიხილებოდა, თუმცა ეს განზრახვა არ განხორციელდა.
გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი იყო, აკადემიის გახსნასთან დაკავშირებულ საპროგრამო სიტყვაში ეხება შენობის მძიმე მდგომარეობას და იმასაც აღნიშნავს, რომ სამხატვრო სკოლის გარდა შენობის ნაწილი ეკავა კერძო მოსახლეობას, რომელთა გაყვანა სირთულეებთან იყო დაკავშირებული.
ამის შემდეგ შენობა არაერთხელ იქნა განახლებული და გადაკეთებული.

ა. გრიბოედოვის ქ. #22 შენობის პროექტების განხილვა

ა. გრიბოედოვის ქ. #22 შენობა თბილისური სახლების იმ არცთუ მრავალრიცხოვან რიცხვს მიეკუთვნება, რომლის მფლობელის და არქიტექტორის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის




ხელოვნების მუზეუმში დაცულია შენობის ფასადის პროექტი დამუშავებული არქიტექტორ გრიგოლ ივანოვის მიერ 1856 წელს.



არქ. გრიგოლ ივანოვი, არშაკუნის 3 სართულიანი სახლის მიშენების პროექტი, 1856 წელი, ფასადის ერთ-ერთი ვარიანტი

პროექტი შედგება საპატიო მოქალაქის არშაკუნის სამსართულიანი სახლის მიშენების ფასადის ორი ვარიანტისგან, ამავე არშაკუნის ვაჟიშვილის სახლის მინაშენის ჭრილისგან და დამხმარე სათავსების ნახაზებისგან. პროექტი შესრულებულია სქელ ქაღალდზე, ფანქრით. განსაკუთრებით საყურადღებოა არშაკუნის სამსართულიანი სახლის მინაშენის ფასადის ორი ვარიანტი, რომელთა შორის განსხვავება ძირითადად რიზალიტების ღიობების დამუშავებაში მდგომარეობს.



არქ. გრიგოლ ივანოვი, არშაკუნის 3 სართულიანი სახლის მიშენების პროექტი, 1856 წელი, ფასადის ერთ-ერთი ვარიანტი

პროექტის ამ ორ ვარიანტთან დაკავშირებით ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ შენობის განხორციელებული ფასადი ორივესგან განსხვავებული. პროექტის ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად ,,...ადრე-რენესანსული სარკმლები უნდა გაეკეთებინათ, ზემო სართულის სამივე აივანიც სავსებით ტრადიციული სახისა იყო.




არქ. გრიგოლ ივანოვი, არშაკუნის 3 სართულიანი სახლის მიშენების
პროექტი, 1857 წელი

როგორც ირკვევა, ვ. ბერიძისთვის უცნობი იყო გრ. ივანოვის მიერ 1857 წელს შესრულებული ფასადის პროექტის კიდევ ერთი ვარიანტი, სადაც რიზალიტების მაშიკულებიანი ფრონტონები და ისლამურალათებიანი სარკმლებია გამოსახული, შედარებით ახლოს არის შენობის რეალურ სახესთან. ეს პროექტი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის ფონდებში.

პროექტი შესრულებულია სქელ ქაღალდზე, კალმითა და ორი ფერის (შავი და ტერაკოტისფერი) ტუშით. ქაღალდის მარჯვენა, ზედა კუთხეში წარმოდგენილია გენგეგმა, სადაც აღნიშნულია შენობის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთების კონფიგურაცია და მათ მფლობელთა გვარები. აქედან ირკვევა, რომ ამ დროისთვის შენობის ირგვლივ არსებული ტერიტორია ჯერ კიდევ დაუსახლებელი ყოფილა. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მითითებულია აქ არსებული სომხური ეკლესია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტის შესრულების დახვეწილი ოსტატობა და ხაზის სინატიფე.

მუზეუმში, ამასთანავე, დაცულია შენობის გეგმა, სადაც შავი ტუშით არის ნაჩვენები არსებული, შუა ძირითადი ნაწილი, რომელიც ფლანკირებულია წითელი ტუშით გამოხაზული მიშენებებით.



არქ. გრ. ივანოვის პროექტი, არშაკუნის სახლის გეგმა

დღეს არსებული ნაგებობისგან განსხვავებით გეგმაზე წარმოდგენილი შენობის მარჯვენა მინაშენი ეზოსკენ არ ვითარდება. შესაძლოა, მშენებლობის პროცესშივე მოხდა პროექტიდან გადახვევა და მარჯვენა ფრთაც მარცხენას მსგავსად განხორციელდა.



ფრაგმენტი თბილისის 1867 წლის გეგმიდან


საგულისხმოა, რომ თბილისის 1867 წლის გეგმა ასახავს ნაგებობათა ჯგუფს, სადაც ნათლად ჩანს მასშტაბური სასახლე, მასთან დაკავშირებული დამხმარე ნაწილი

შენობის მარჯვენა კიდეში და ზღუდე; ამასთანავე, სიღრმეში მდგარი დამოუკიდებელი შენობა და ტერიტორიის მარცხენა ნაწილში _ კარის ეკლესია.
როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1886 წლისთვის შენობის ფიზიკური მდგომარეობა საკმაოდ დამძიმებული ყოფილა, რასაც თვალსაჩინოდ ასახავს დიმიტრი ერმაკოვის ამავე პერიოდის ფოტო.



თბილისის ,,კრუჟოკი'', დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლების ბოლო

მოგვიანებით შენობის ერთი ნაწილი შეისყიდა ნინო ქობულაშვილმა. მისი დაკვეთით, XX ს-ის დასაწყისში არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია.
აღნიშნული პროექტი, რომელიც დაცული იყო თბილისის საბჭოს არქივის ქალაქის თვითმმართველობის სამშენებლო განყოფილებაში (საქმე #12257) შესწავლილი აქვს ვ. ბერიძეს. როგორც იგი აღნიშნავს, ხუროთმოძღვარმა ანგარიში გაუწია ადრინდელ ფორმებს, შეინარჩუნა ნაგებობის ძირითადი სტრუქტურა და ფასადის ღიობების ფორმები.



სურ. 134. ქობულაშვილების სახლის (ახლანდელი თბილისის სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის ქ. № 22) რეკონსტრუქციის პროექტი. არქ. სიმონ კლდიაშვილი. 1902 წ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეკონსტრუქციის შედეგად შენობის ფასადმა არსებითად იცვალა სახე, დაიკარგა მაღალმხატვრული დამუშავების თავდაპირველი თბილისური აივნები ქუჩის მხარეს და შენობამ ევროპული ელფერი შეიძინა. ს. კლდიაშვილისეული საფასადო მორთულობა ძირითადად ბაროკულ სტილიზაციას ეფუძნება. შენობის ფასადის მარჯვენა ნაწილმა ძირითადად შეინარჩუნა თავდაპირველი დამუშავების ელემენტები.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის აღწერა

თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის გეგმის ზოგადი მოხაზულობა რუსული ასო _ П-ს მოხაზულობას უახლოვდება. ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია ძველი აგური (21X21X4სმ; 22X22X4სმ;). ფასადები შელესილია, პროფილები და სკულპტურული დეკორი ნალესობითაა გამოყვანილი.

ნაგებობის მთავარი, ეზოში განვითარებული ფრთების დამაკავშირებელი ფასადი, რომელიც ფრონტალურად მიუყვება გრიბოედოვის ქუჩას, ხაზგასმულად გრძელია. იგი დეკორაციული გაფორმებით, ღიობების რიტმით და სახურავის დამასრულებელი კონტურით ხუთ ნაწილადაა გაყოფილი.





ფასადის მხატვრული გადაწყვეტა ეკლექტურია. მისი მხატვრული დამუშავება ეფუძნება კლასიცისტურ, ისლამურ და ბაროკულ სტილიზაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1857 წელს გრიგოლ ივანოვის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით აგებული შენობის ქუჩისპირა ფასადზე თავდაპირველი სახე შედარებით უკეთ მარჯვენა ნაწილმა შემოინახა, ხოლო მარცხენა ნაწილი არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის მიერ 1902 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით არის გადაკეთებული.

შუა ნაწილი, რომელიც შენობის ძირითად ბირთვს წარმოადგენს, სამივე სართულზე გახსნილია ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ღიობებით, რომელთა მოხაზულობა სართულების მიხედვით იცვლება. ქუჩისპირა ფასადის შუა ნაწილის ცენტრალური ღერძი ხაზგასმულია ღიობთა განსხვავებული გაფორმებით და ოდნავ ამაღლებული პარაპეტით, რომელიც ფლანკირებულია ვერტიკალური აქცენტებით. მათგან ძველი, მარჯვენა ნაწილი სრულდება ორქანობა სახურავით, ხოლო მარცხენა (კლდიაშვილისეული) ნაწილი _ სწორხაზოვანი პარაპეტით. შუა მონაკვეთთან შედარებით შენობის კიდურა ნაწილებში და ვერტიკალური ღერძების ფარგლებში ღიობთა რაოდენობა ნაკლებია, ხოლო მათი ზომები _ გაზრდილი.

მთავარი ფასადის ორი ქრონოლოგიური პერიოდი მკვეთრად განსხვავდება დეკორაციული დამუშავებით. მარჯვენა, ძველი ნაწილის მხატვრული გაფორმების ელემენტებს წარმოადგენს საფასადო სიბრტყის სამივე სართულის დამანაწევრებელი ერთსაფეხურიანი პილასტრები განაპირა მონაკვეთში, ღიობთა პროფილირებული საპირეები, რთულნახატიანი ალათები და კარნიზის დეკორაციული თაღების მწყობრი

რიგი, რომელსაც ზევითY კედლის სიბრტყიდან ოდნავ ჩაწეული დისკოების მწკრივი გაუყვება.



XIX ს-ის დასასრულის ფოტო აჩვენებს, რომ ფასადის გაფორმების ანალოგიური კომპოზიცია სარკისებურად მეორდებოდა შენობის მარცხენა ნაწილში, რომელმაც ს. კლდიაშვილისეული გადაკეთებით მოაღწია ჩვენამდე.

შენობის მარცხენა, 1902 წელს გადაკეთებულ ფასადზე არ არის შეცვლილი ღიობთა თავდაპირველი ფორმა და მათი განაწილება ფასადზე, თუმცა გაფორმება ბაროკული ხასიათისაა: ნალესობაში გამოყვანილი ნაძერწი გირლანდები, ნიჟარები, ადამიანის თავის სკულპტურული გამოსახულებები (ბავშვის, მამაკაცის ქალის) და სხვა ელემენტები, რომლების ძირითადად თავმოყრილია ღიობების საპირეებთან, დენადი მოყვანილობის დამასრულებელ ნაწილებში და სანდრიკებთან. პირველი სართულის საფასადე სიბრტყე ნალესობით შესრულებული უხეშფაქტურიანი რუსტებითაა დამუშავებული.







შენობის მარცხენა ნაწილის ფასადის ცენტრალური მონაკვეთი კრონშტეინების მწკრივისაგან შედგენილი მაღალი შუბლითა და პროფილირებული, საკმაოდ შვერილი კარნიზით სრულდება.
სწორხაზოვან პარაპეტში ჩართულ სწორკუთხა კუბებს შორის დეკორაციული ნაძერწი დეტალებია ჩამწკრივებული.
შენობის მარჯვენა ნაწილის პარაპეტი წრეში ჩასმული ოთხყურა ვარდულებითაა დამუშავებული.

მესამე სართულის შუა მაღალი და უხვად გაფორმებული კარის წინ ნახევარწრიული, ლითონის აჟურულმოაჯირიანი დაკიდული აივანია გამართული, ხოლო ქვემოთ _ ხეში ნაკვეთი ორფრთიანი, ბაროკული ელემენტებით მორთული და ლითონისცხაურებიანი ჩანართებით გაფორმებული მთავარი შესასვლელია განთავსებული.
სამხატვრო აკადემიის შენობის ეზოში განვითარებული ფრთების გარე კონტურის სწორხაზოვნებას არღვევს წახნაგოვნად შვერილი და დამოუკიდებელი სახურავით დასრულებული მოცულობა. მარჯვენა მკლავის შვერილ მოცულობას შემოსდევს ნაწილობრივ გაძარცული აივანი, რომელზეც მეორე სართულზე გამოდიოდა ნახევარწრიული თაღით დასრულებული, ხოლო მესამე სართულზე _ შეისრულთაღოვანი ღიობები.



შენობის ეზოში განვითარებული მარცხენა ფრთის გარე კონტურის წახნაგოვან მოცულობას აივანი არ აქვს შემორჩენილი. აქ ყოველ წახნაგზე ერთი ფართო ღიობია განთავსებული. ზედა სართულზე მუშარაბების ფრაგმენტებია შემონახული.
ნაგებობის ეზოს ფასადი სხვადასხვა დროს არის გადაკეთებული და სახეცვლილი. თავდაპირველი სახისაგან აქ თითქმის არაფერია შემონახული. შუა ნაწილის მეორე და მესამე სართული რიკულებიანი ხის აივნითაა გახსნილი, ხოლო პირველი სართული _ ახალი აგურით გადაყვანილი თაღედით. მისგან მარჯვნივ არსებულ ეზოში განვითარებულ ფრთას ამ მხრიდან თანამედროვე გადაწყვეტა აქვს, რომლის ცენტრი ხაზგასმულია დამოუკიდებელი ორქანობა სახურავით გადახურული ვერტიკალი. საფასადო კედელი ცემენტის ხსნარითაა შელესილი, რომელზეც განაწილებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ღიობები _ სწორკუთხა,

რვაკუთხა, ტეხილთაღოვანი და სხვა... ამავე მხარესაა მოწყობილი ლითონის მოაჯირიანი და ბეტონის ბალიასინებიანი აივნები.






შენობის მარცხენა ფრთის ბოლო მონაკვეთი ჩამოჭრილია (რაც აკადემიის ახალი კორპუსის მშენებლობას უნდა მოჰყოლოდა). აქ დღემდე მოჩანს ოდესღაც გუმბათით დასრულებული, ძველი აგურით ნაგები მოცულობის ქვედა ნაწილის კედლის თაღები. ამავე მხრიდან უკავშირდება ძველი შენობა ახალ კორპუსს. ეზოს ფასადზე დომინირებს მარცხენა ფრთის კიდეში, ორიარუსიანი, შეისრულთაღიანი მძლავრი პორტალი, რომელიც ხის აივნებითაა გახსნილი.



შენობის ცვლილებები და დანაკარგები პროექტირებიდან დღემდე

თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის პროექტის ვარიანტები, რომელიც გრიგოლ ივანოვს ეკუთვნის, შესრულებულია 1856 და 1857 წლებში.



არქიტექტურის აკადემიკოსი გრიგოლ ივანოვი თბილისის საქალაქო არქიტექტორად მუშაობდა 1852-1857 წლებში. ამ პერიოდში მის მიერ შესრულებულ საცხოვრებელი სახლების პროექტებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია არშაკუნის სასახლეს. 1857 წელს გრიგოლ ივანოვი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის. ამის შემდეგ იგი თანამდებობაზე აღარ აღუდგენიათ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლ ივანოვმა თავისივე პროექტის განხორციელებას თვალი ვერ მიადევნა და არშაკუნის სასახლე მისი მონაწილეობის გარეშე განხორციელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული პროექტი დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში განიცდა, რაზეც მეტყველებს შემონახული პროექტები. მათი მიხედვით სასახლეს დამატებითი მოცულობები მიაშენეს

გრიგოლ ივანოვის მიერ შესრულებულ შენობის გეგმაზე აშკარად ჩანს ნაგებობის ქუჩისპირა ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც შავი ტუშითაა შესრულებული და გამოირჩევა ეზოში განვითარებული წითლად დაფერილი მკლავებისაგან.



შენობის ცენტრალური ბირთვი ორმაგ ანფილადს წარმოადგენს. ოთახების ორივე რიგის ღიობები ერთ ღერძზეა განლაგებული. ქუჩისა და ეზოს ფასადები თანაბარი ინტერვალით განაწილებული ღიობებითაა გახსნილი. ოთახების წინა რიგი მომდევნოს – კარებით უკავშირდება, საზიარო კედლებში ბუხრები და ღუმელებია გამართული.

შენობის ცენტრალური ბირთვი გამოკვეთილი ანფილადური გეგმარებით, ღიობების სიჭარბით და მათი განაწილებით, განსხვავებულია გვერდითი ფრთების გეგმათა კომპოზიციისაგან. აღსანიშნავია პროექტზე აღნიშნული, კედლის სისქეში დატანილი კიბის უჯრედი ზედა სართულის მარჯვენა კიდეში, რომელიც ადრეული ხანის ტრადიციული საცხოვრებლისათვის არის დამახასიათებელი, რომელიც XIX ს-ის II ნახევრიდან თითქმის აღარ გვხვდება. ასეთი მკაფიო განსხვავებები შუა ნაწილსა და გვერდით ფრთებს შორის მიუთითებს შენობის ცენტრალური ნაწილის უფრო ადრეულობაზე. ამაზე მიუთითებს გრიგოლ ივანოვის პროექტის სახელწოდებაც – ,, Фасад пристройки 3-ёх этажного дома Почётного Гражданина Аршакуни ".

შენობის გვერდითი ფრთები პროექტის მიხედვით განსახვავებულადაა გადაწყვეტილი. გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობის მინაშენებიდან მარჯვენა, შედარებით მცირე ზომის უშუალოდ აგრძელებს შენობის ძირითადი ნაწილის კონფიგურაციას და აგრძელებს მის ქუჩისა და ეზოს ფასადებს. ხოლო მარცხენა შედარებით დიდი ზომის მინაშენი ისე ებმის ძირითად ბირთვს, რომ იჭრება ეზოში და ქმნის სწორკუთხა ნაშვერ ფრთას. ამ მინაშენს გვერდითი მხრიდან, შუაში, აქვს სამწახნაგა შვერილი. პროექტზე ეს ნაწილი დამოუკიდებელი, სფერული გადახურვით არის წარმოდგენილი. მინაშენების შიდა დაგეგმარებით დიდი, დაუნაწევრებელი

მოცულობებია შექმნილი, რაც არსებითად განსხვავდება შუა ნაწილის კომპაქტური გეგმარებისგან. შენობის პარადული შესასვლელი მარცხენა მინაშენის და ძველი ნაწილის მიჯნაზეა აღნიშნული. აქ არის დიდი ჰოლი, სადაც კიბის ერთიანი გრძელი მარში და სიღრმეში ერთმანეთის პარალელურად განთავსებული ორი მარშია მოცემული.



გრიგოლ ივანოვის მიერ 1857 წელს შედგენილი პროექტი გარკვეული ცვლილებებით განხორციელდა, რაც კარგად ჩანს XIX ს-ის დასასრულის დიმიტრი ერმაკოვისეულ ფოტოებზე. პროექტით გათვალისწინებული, მთავარი ფასადის შუა ნაწილის დამასრულებელი დეკორაციული ელემენტი არ ჩანს, აქ მის ნაცვლად საფეხუროვანი პარაპეტია. შეცვლილია ფასადის ორი ფრონტონის დამასრულებელი ასეთივე ელემენტები.

ერთ-ერთი საარქივო ფოტო ასახავს სასახლის მარჯვენა ეზოში არსებულ, ამჟამად განადგურებულ, საინტერესო ნაგებობებს, რომლებიც, როგორც ჩანს, შეადგენდნენ სასახლის დამხმარე ფუნქციის მქონე (სამოსამსახურო, სამეურნეო და სხვა), ერთიანი ანსამბლის ნაწილს.

შენობის ჩვენამდე მოღწეულ უადრეს ფოტოზე (XIX ს-ის დასასრული), მთავარ ფასადზე უკვე დაკარგულია II სართულის შუა, შეკიდული და გადახურული აივანი, ხოლო, რაც შეეხება ფრონტონიანი ნაწილის II სართულის შეკიდულ აივნებს, მათგან მარცხენა ფრაგმენტულადაა მოღწეული. მარჯვენა აივანს შერჩენილი აქვს სამფრონტონიანი გადახურვა, ხის აჟურული მოაჯირები და კრონშტეინები. თუმცა აქაც ნათლად იკითხება დაზიანება.



სასახლის ეზოს ქუჩის მხარეს საზღვრავდა ქვის თლილი სვეტებისა და ლითონის მესერისგან შემდგარი ზღუდე, რომლის აგურით ნაგებ კარიბჭეში ლითონის აჟურული ჭიშკარი იყო ჩართული.

ამავე ფოტოზე ეზოს სიღრმეში მოჩანს ამჟამად აღარარსებული, თაღოვანი ღიობებითა და აივნებით გახსნილი ორსართულიანი დამოუკიდებელი ნაგებობა შვერილი წახნაგოვანი მოცულობით და მის უკან მუზარადისებრი შუქფარნით დასრულებული სფერული გუმბათით.

ეს ნაგებობა სასახლის მთავარ შენობასთან ერთად მხატვრულად გააზრებულ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს ქმნიდა.

1857 წლის პროექტისაგან განსხვავებით სასახლის მარცხენა, ეზოში განვითარებული ფრთის წახნაგოვანმა შვერილმა ცენტრიდან გადმოინაცვლა და დამოუკიდებელი სფერული გადახურვის ნაცვლად კამაროვანი გადახურვით გაერთიანდა მომიჯნავე ნაწილთან. ფოტოზე ყურადღებას იქცევს მკლავის დამასრულებელ ნაწილში სახურავიდან ამოჭრილი გუმბათი თავისი შუქფარნით და ამავე ნაწილში ფრაგმენტულად დამატებული მეოთხე სართული, რომლის მაღალი პარაპეტის ხაზი კიბისებურად ეშვება და უერთდება დეკორაციული თაღედით გაფორმებულ კარნიზს.

მთელ პერიმეტრზე ამ ფრთას გაუჩნდა ხის სვეტებითა და ჭვირული მოაჯირებით დამუშავებული გადახურული აივნები.

ანალოგიური გეგმითა და კონფიგურაციით განხორციელდა შენობის მარჯვენა ფრთა და მისმა ფასადმა თითქმის ანალოგიური გადაწყვეტა მიიღო, თუმცა სხვაობა აშკარაა, რაც განსაკუთრებით არის გამოვლენილი ხის დეკორაციული ელემენტების დამუშავებაში.

მარცხენა ფრთა, საიდანაც შენობას ჰქონდა მთავარი შესასვლელი, უფრო მდიდრულად და დახვეწილად არის გაფორმებული. მწყობრი პროპორციის, ორ იარუსად განლაგებული აივნის ხის სვეტები რთულპროფილიანია _ თავსა და ბოლოში ოთხკუთხა ფორმას მრგვალი ტანი ებმის, რომელთა დაკავშირება დეკორაციული ელემენტებით, მსხლისებური ფორმის ბაზისით, წახნაგებითა და ლილვებით დამუშავებული სვეტისთავებით ხორციელდება. სვეტებს შორის ფაქიზი აჟურული ორნამენტით დამუშავებული ფრიზი და სამკუთხა ჩანართებია.



შენობის მარჯვენა ფრთასაც ეზოსკენ ორ იარუსად განლაგებული ლითონის დეკორაციულ კრონშტეინებზე შეკიდული აივნები და მათი გადახურვები მიუყვება სვეტების გარეშე. II სართულზე აივანს ხის გადაჯვარედინებული მოაჯირი აქვს, ხოლო ზემოთ ლითონის ღეროებით შედგენილი სადა მანებიანი მოაჯირი მიუყვება.

ამავე დროის ეზოს ფასადის ფოტოზე მოჩანს აგურის ზღუდით გაყოფილი შიდა ეზო, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის მდგომარეობას უნდა ასახავდეს ქობულაშვილების მიერ სასახლის ნახევრის შეძენის შემდეგ. მიუხედავად დაზიანებებისა, ფასადის მხატვრული კომპოზიციის პირვანდელი სახის აღქმა შესაძლებელია. შენობის ამ ფრთის კიდეში მოჩანს მაღალი, ორიარუსიანი, შეისრული თაღებით გახსნილი გიგანტური ბეშთაქი, რომელიც ქვედა სართულში გამჭოლია და თაღის ორივე მხარეს არსებული სიბრტყე შემსუბუქებულია დიდი, მრგვალი ღიობებით.

ზედა სართულის თაღოვანი არე მცირე კვადრატებად დანაწევრებული შემინული ალათებითაა შევსებული, ხოლო ქვემო ნაწილი ამოშენებულია და მის წინ აივანი გაუქმებულია. თაღის ორივე მხარეს კუთხეებში სიბრტყეზე წარმოდგენილია ნალესობაზე დატანილი, აღმოსავლურ ხელოვნებაში გავრცელებული მოხატული კომპოზიცია ორ თათზე წამომართული, პირდაღებული ლომის და მის უკან, ამომავალი მზის გამოსახულებით.

პორტალს ასრულებს ძლიერ შვერილი კარნიზი, რომელიც აივნის გადახურვასაც უზრუნველყოფდა.

შენობის შუა, ძველი ნაწილის ეზოს ფასადზე ვხედავთ ნახევარწრიულ შვერილს, რომელსაც, ასევე ერთიანი, შეკიდული უსვეტებო აივნები შემოუყვებოდა. ამ აივნებს ხურავს ხის დეკორაციული კრონშტეინებითა და მათ შორის განაწილებული აღმოსავლური მინიატურების კომპოზიციების მსგავსი მოტივებიანი (მცენარეული ორნამენტები, ჩიტების გამოსახულებები და სხვა) კარნიზი.

საფასადო კედლის სიბრტყეს კარნიზს ქვემოთ გაუყვება დეკორაციული თაღების ორი მწკრივი, რომელიც იმეორებს ქუჩის ფასადის მოტივს, ხოლო მას შენობის მკლავის გვერდით ფასადზე კედლის დამასრულებელი, ასევე გაფორმებული კარნიზი და მის ქვეშ გეომეტრიული ფიგურებისგან შემდგარი, ნალესობაში გამოყვანილი დეკორაციული კომპოზიცია მოსდევს.

ეზოს ფასადის ღიობები მეორე სართულზე თაღოვანი მოხაზულობისაა, ხოლო მესამეზე _ შეისრულთაღოვანი. ამ სართულის ორ ღიობს შორის სიბრტყიდან ჩაწეული წრეა გამოყვანილი.

შენობის შემდგომი პერიოდის ამსახველ ფოტოებზე ჩანს ეზოს ფასადის ცვლილებები: ღიობების ალათები გამარტივებულია, ეზოს მხარეს არსებული ნახევარწრიული შვერილი – ნაწილობრივ მოშლილი, ნალესობაში გამოყვანილი კარნიზის თაღედის ორი მწკრივიდან მხოლოდ ერთი ზოლია დატოვებული, ხოლო შენობის გვერდითი მკლავის დამასრულებელი ხის დიდნაშვერიანი, დეკორაციული ელემენტებით მორთული კარნიზი და მის ქვეშ ნალესობაში გამოყვანილი დეკორაციული კომპოზიცია აღარ ჩანს.

ჩასატარებელი სამუშაო:







თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ძველი კორპუსის სარდაფში, სამ კედელზე წარმოდგენილია კედლის მხატვრობის სამი დამოუკიდებელი კომპოზიცია: თამარ მეფის ნადირობის სცენა, მხედარი მეფის გამოსახულება და ზღვის ფონზე, ლომების თანხლებით წარმოდგენილი მედეას კომპოზიცია. მხატვრობა შესრულებულია გაჯის ნალესობაზე, შერეული ტექნიკით, ძირითადად ტემპერის საღებავით, და მისი შესრულების მანერა რამდენიმე სხვადასხვა მხატვრის მონაწილეობაზე მიუთითებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დაზიანება, მათ შორის ზედაპირული დაბინძურება, ნადები და ჩამონაღვენთი, უხეში გვიანი ტონირებები და შევსებები, მექანიკური დაზიანებები, ნალესობის ლოკალური დანაკარგები, ბზარები, საღებავის ფენის ფრაგმენტაცია და აქერცვლა, აგრეთვე გვიანი ტექნიკური დანამატები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მხატვრობის როგორც ფიზიკურ მდგომარეობაზე, ისე მის აღქმაზე. აღნიშნული დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება მხატვრობის სტაბილიზაციის, ავთენტური მასალის მაქსიმალური შენარჩუნებისა და მისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების დაცვისკენ.

რეკომენდაციები

კედლის მხატვრობაზე ყველა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო უნდა განხორციელდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპების, ავთენტურობის დაცვისა და მინიმალური ჩარევის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- სამუშაოების შესრულებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ავთენტური ფერწერული ფენისა და ისტორიული ნალესობის მაქსიმალურ შენარჩუნებას. ნებისმიერი ჩარევა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დაზიანებული უბნების კონსერვაციით და არ უნდა გამოიწვიოს ავთენტური მასალის დაკარგვა.
- ყველა გამოსაყენებელი საკონსერვაციო და სარესტავრაციო მასალა უნდა იყოს ისტორიულ მასალებთან ფიზიკურად და ქიმიურად თავსებადი, ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის უსაფრთხო და, შესაძლებლობის ფარგლებში, შექცევადი.
- მხატვრობის ზედაპირის გაწმენდის, გვიანი ტონირებების მოხსნისა და გამხსნელების გამოყენების მეთოდები უნდა შეირჩეს მხოლოდ წინასწარი საცდელი ტესტირების საფუძველზე. დაუშვებელია ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ავთენტური საღებავის დაზიანება ან გახსნა.
- ნალესობის დანაკარგების შევსებისა და ტონირებისას დაცული უნდა იყოს ისტორიული მასალის ტექსტურა, ვიზუალური ხასიათი და მხატვრობის

საერთო კოლორიტი. ახალი ჩარევა არ უნდა ფარავდეს ან აყალბებდეს ავთენტურ მხატვრობას.

- გვიანი დანამატების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოხსნა არ ქმნის ავთენტური ფერწერული ფენის დაზიანების საფრთხეს.
- სამუშაოების მიმდინარეობისას ყველა ეტაპი უნდა შესრულდეს კვალიფიციური ფერწერის რესტავრატორის უშუალო ზედამხედველობით და შესაბამისი დოკუმენტირებით.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს მხატვრობის პერიოდული მონიტორინგის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლო დაზიანებების ადრეულ გამოვლენასა და პრევენციული კონსერვაციის ღონისძიებების დროულ განხორციელებას.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტერიერის მიკროკლიმატის, ტენიანობისა და საინჟინრო კომუნიკაციების კონტროლს, რათა აღმოიფხვრას ის გარემო ფაქტორები, რომლებიც მომავალში შეიძლება კედლის მხატვრობის განმეორებით დაზიანებას იწვევდეს.



ხელოვნებათმცოდნე თ. ღვინერია